წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა

სურსათის უვნებლობის მართვის საერთაშორისო სისტემების/სტანდარტების დანერგვის და სერტიფიცირების თანადაფინანსება:

- უფლებამოსილი პირის პირადობის მოწმობის ასლი ან/და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი;
- ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრიდან (იურიდიული პირის შემთხვევაში);
- სასოფლო - სამეურნეო კოოპერატივის წევრთა რეესტრის ასლი (სასოფლო - სამეურნეო კოოპერატივების შემთხვევაში);
- შესასყიდი მომსახურების ინვოისი ან/და ხელშეკრულება ქართულ ენაზე ან ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი, რომელიც აუცილებელი წესით უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:
  - ❖ მხარეთა რეკვიზიტები;
  - ❖ მომსახურების მიწოდების ვადა;
  - ❖ ღირებულება ეროვნულ ვალუტაში;
  - ❖ ინფორმაცია სერტიფიკატის გამცემი პირის შესახებ (საერთაშორისო სერტიფიცირების შემთხვევაში);
  - ❖ გადახდის პირობა და სავალდებულო მითითება, რომ სააგენტოს თანადაფინანსების წილი გაიცემა მომსახურების მიწოდების შემდგომ.

შენიშვნა: *დონორი ორგანიზაციის მიერ პროექტის თანადაფინანსებაში მონაწილეობის შემთხვევაში, ინვოისი ან/და ხელშეკრულება შესაძლებელია წარმოდგენილი იყოს უცხოურ ვალუტაში.*

- პოტენციური ბენეფიციარის თანამონაწილეობის თანხის დამადასტურებელი დოკუმენტი - ცნობა ბანკიდან შესაბამისი თანხის ანგარიშზე არსებობის შესახებ ან/და ცნობა საფინანსო ინსტიტუტიდან კრედიტის დამტკიცების თაობაზე ან/და დონორის წერილობითი დასტური;
- ცნობა ან/და შედარების აქტი სსიპ - შემოსავლების სამსახურიდან საგადასახადო დავალიანების არქონის შესახებ;
- საბანკო რეკვიზიტები;
- საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ წარმოებულ რეესტრში რეგისტრირებული აუდიტორის/აუდიტორული ფირმის ანგარიში, ან სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს საექსპერტო დასკვნა წარმოდგენილი პროექტის საინვესტიციო ღირებულების საბაზრო ფასებთან შესაბამისობის შესახებ, რომელსაც აუცილებელი წესით თან უნდა ჰქონდეს დართული, შესასყიდი მომსახურეობის ინვოის(ებ)ი ან/და ხელშეკრულება;
- სხვა დამატებითი დოკუმენტაცია, სააგენტოს მიერ მოთხოვნის შემთხვევაში.

ბრენდირებისა და შეფუთვის დიზაინის შექმნის თანადაფინანსება:

- უფლებამოსილი პირის პირადობის მოწმობის ასლი ან/და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი;
- ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრიდან (იურიდიული პირის შემთხვევაში);
- სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის წევრთა რეესტრის ასლი (სასოფლო - სამურნეო კოოპერატივების შემთხვევაში);
- შესასყიდი მომსახურების ინვოისი ან/და ხელშეკრულება ქართულ ენაზე ან ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი, რომელიც აუცილებელი წესით უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:
  - ❖ მხარეთა რეკვიზიტები;
  - ❖ მომსახურების მიწოდების ვადა;
  - ❖ ღირებულება ეროვნულ ვალუტაში;
  - ❖ გადახდის პირობა და სავალდებულო მითითება, რომ სააგენტოს თანადაფინანსების წილი გაიცემა მომსახურების მიწოდების შემდგომ.

შენიშვნა: *დონორი ორგანიზაციის მიერ პროექტის თანადაფინანსებაში მონაწილეობის შემთხვევაში, ინვოისი ან/და ხელშეკრულება შესაძლებელია წარმოდგენილი იყოს უცხოურ ვალუტაში.*

- პოტენციური ბენეფიციარის მიერ, მომსახურების მიმწოდებელი კომპანიისგან დამატებით წარმოდგენილი უნდა იყოს ბრენდირების მიმართულებით სააგენტოში განაცხადის წარმოდგენამდე არაუმეტეს 3 კალენდარული წლით ადრე განხორციელებული არანაკლებ ორი პროექტის შესახებ ინფორმაცია და არანაკლებ ორი განხორციელებული პროექტის დამკვეთისგან სარეკომენდაციო წერილი, რომელიც უნდა შეიცავდეს ინფორმაციას შესრულებული სამუშაოს შესახებ, კერძოდ: ლოგოს დიზაინი, კორპორაციული ფერები, ტიპოგრაფია და ბრენდის სახელმძღვანელო.
- პოტენციური ბენეფიციარის თანამონაწილეობის თანხის დამადასტურებელი დოკუმენტი - ცნობა ბანკიდან შესაბამისი თანხის ანგარიშზე არსებობის შესახებ ან/და ცნობა საფინანსო ინსტიტუტიდან კრედიტის დამტკიცების თაობაზე ან/და დონორის წერილობითი დასტური;
- ცნობა ან/და შედარების აქტი სსიპ - შემოსავლების სამსახურიდან საგადასახადო დავალიანების არქონის შესახებ;
- საბანკო რეკვიზიტები;
- საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ წარმოებულ რეესტრში რეგისტრირებული აუდიტორის/აუდიტორული ფირმის ანგარიში, ან სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს საექსპერტო დასკვნა წარმოდგენილი პროექტის საინვესტიციო ღირებულების საბაზრო ფასებთან შესაბამისობის შესახებ, რომელსაც აუცილებელი წესით თან უნდა ჰქონდეს დართული, შესასყიდი მომსახურეობის ინვოის(ებ)ი ან/და ხელშეკრულება;
- სხვა დამატებითი დოკუმენტაცია, სააგენტოს მიერ მოთხოვნის შემთხვევაში.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისთვის მათ მიერ წარმოებული პროდუქტის ბრენდირებისთვის/საბოლოო სასაქონლო სახის მისაცემად საჭირო აღჭურვილობის შეძენის თანადაფინანსება:

- უფლებამოსილი პირის პირადობის მოწმობის ასლი ან/და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი;
- ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრიდან;
- სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის წევრთა რეესტრის ასლი;
- შესასყიდი აღჭურვილობის ინვოისი ან/და ხელშეკრულება ქართულ ენაზე ან ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი, რომელიც აუცილებელი წესით უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:
  - ❖ მხარეთა რეკვიზიტები;
  - ❖ მომსახურების მიწოდების ვადა;
  - ❖ ღირებულება ეროვნულ ვალუტაში;
  - ❖ გადახდის პირობა და სავალდებულო მითითება, რომ სააგენტოს თანადაფინანსების წილი გაიცემა მომსახურების მიწოდების შემდგომ.

შენიშვნა: *დონორი ორგანიზაციის მიერ პროექტის თანადაფინანსებაში მონაწილეობის შემთხვევაში, ინვოისი ან/და ხელშეკრულება შესაძლებელია წარმოდგენილი იყოს უცხოურ ვალუტაში.*

- პოტენციური ბენეფიციარის თანამონაწილეობის თანხის დამადასტურებელი დოკუმენტი - ცნობა ბანკიდან შესაბამისი თანხის ანგარიშზე არსებობის შესახებ ან/და ცნობა საფინანსო ინსტიტუტიდან კრედიტის დამტკიცების თაობაზე ან/და დონორის წერილობითი დასტური;
- ცნობა ან/და შედარების აქტი სსიპ - შემოსავლების სამსახურიდან საგადასახადო დავალიანების არქონის შესახებ;
- საბანკო რეკვიზიტები;
- საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ წარმოებულ რეესტრში რეგისტრირებული აუდიტორის/აუდიტორული ფირმის ანგარიში, ან სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს საექსპერტო დასკვნა წარმოდგენილი პროექტის საინვესტიციო ღირებულების საბაზრო ფასებთან შესაბამისობის შესახებ, რომელსაც აუცილებელი წესით თან უნდა ჰქონდეს დართული, შესასყიდი აღჭურვილობის ინვოის(ებ)ი ან/და ხელშეკრულება;
- სხვა დამატებითი დოკუმენტაცია, სააგენტოს მიერ მოთხოვნის შემთხვევაში.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მიერ სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის თანადაფინანსება:

- უფლებამოსილი პირის პირადობის მოწმობის ასლი ან/და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი;
- ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრიდან;
- სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის წევრთა რეესტრის ასლი;
- შესასყიდი მომსახურეობის საკანცელარიო ცნობა ან/და ინვოისი ან/და ხელშეკრულება;
- პოტენციური ბენეფიციარის თანამონაწილეობის თანხის დამადასტურებელი დოკუმენტი - ცნობა ბანკიდან შესაბამისი თანხის ანგარიშზე არსებობის შესახებ ან/და ცნობა საფინანსო ინსტიტუტიდან კრედიტის დამტკიცების თაობაზე;
- ცნობა ან/და აქტი შედარების სსიპ - შემოსავლების სამსახურიდან საგადასახადო დავალიანების არქონის შესახებ;
- საბანკო რეკვიზიტები;
- სხვა დამატებითი დოკუმენტაცია, სააგენტოს მიერ მოთხოვნის შემთხვევაში.

დანართი #3

შენიშვნა: *დაჩქარებული რეგისტრაციის პროცედურის საფასურის სრულად გადახდის შემთხვევაში პოტენციურ ბენეფიციარს არ მოეთხოვება შესასყიდი მომსახურების საკანცელარიო ცნობის ან/და ინვოისის ან/და ხელშეკრულების და თანამონაწილეობის თანხის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენა. ასეთ შემთხვევაში პოტენციურმა ბენეფიციარმა უნდა წარმოადგინოს თანხის სრულად გადახდისა და სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტები, რომლის გაცემის ვადა არ უნდა აღემატებოდეს განაცხადის წარმოდგენიდან 6 თვეს.*

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის მეპაიისათვის ბუღალტერიის შემსწავლელი სასერტიფიკატო კურსის თანადაფინანსება

- უფლებამოსილი პირის პირადობის მოწმობის ასლი ან/და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი;
- ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრიდან;
- სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის წევრთა რეესტრის ასლი;
- შესასყიდი მომსახურეობის ინვოისი ან/და ხელშეკრულება ქართულ ენაზე, რომელიც აუცილებელი წესით უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:
  - ❖ მხარეთა რეკვიზიტები;
  - ❖ მომსახურების მიწოდების ვადა;
  - ❖ ღირებულება ეროვნულ ვალუტაში;
  - ❖ გადახდის პირობა და სავალდებულო მითითება, რომ სააგენტოს თანადაფინანსების წილი გაიცემა მომსახურების მიწოდების შემდგომ.
- პოტენციური ბენეფიციარის თანამონაწილეობის თანხის დამადასტურებელი დოკუმენტი - ცნობა ბანკიდან შესაბამისი თანხის ანგარიშზე არსებობის შესახებ ან/და ცნობა საფინანსო თაობაზე;
- ცნობა ან/და აქტი შედარების სსიპ - შემოსავლების სამსახურიდან საგადასახადო დავალიანების არქონის შესახებ;
- საბანკო რეკვიზიტები;
- სხვა დამატებითი დოკუმენტაცია, სააგენტოს მიერ მოთხოვნის შემთხვევაში.

უცხოელი კონსულტანტების მომსახურების თანადაფინანსება

- უფლებამოსილი პირის პირადობის მოწმობის ასლი ან/და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი;
- ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრიდან (საჭიროების შემთხვევაში);
- სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის წევრთა რეესტრის ასლი (საჭიროების შემთხვევაში);
- საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის ბრძანება საჯარო სამართლის იურიდიული პირის „წყალმომხმარებელთა ორგანიზაციის“ შექმნის შესახებ (საჭიროების შემთხვევაში);
- პოტენციური ბენეფიციარის თავმჯდომარის მიერ გაცემული ცნობა პოტენციური ბენეფიციარის წევრების რაოდენობის შესახებ;

შენიშვნა: *იმ შემთხვევაში, თუ უცხოელი კონსულტანტების მომსახურეობის თანადაფინანსების მიზნობრიობის პოტენციური ბენეფიციარია არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი (ასოციაცია) ან „წყალმომხმარებელთა ორგანიზაციის შესახებ“ საქართველოს კანონისა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე შექმნილი, წევრობაზე დაფუძნებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი, წევრთა რაოდენობა უნდა იყოს არანაკლებ 10.*

- ნოტარიულად დამოწმებული პოტენციური ბენეფიციარის საერთო კრების ოქმი, სადაც გამოხატულია თანხმობა პროგრამაში მონაწილეობის, პროგრამით და ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების აღების შესახებ;
- ამონაწერ(ებ)ი სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან პოტენციური ბენეფიციარის ან/და მისი წევრ(ებ)ის ან/და წევრების მეპაიე(ებ)ის ან/და მეპაიეების საკუთრებაში არსებული ან/და სახელმწიფოსგან/მუნიციპალიტეტისგან/აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისგან/ ფიზიკური პირისგან/იურიდიული პირისგან იჯარით მიღებული (იმ შემთხვევაში, თუ განაცხადით მოთხოვნილია უცხოელი კონსულტანტის მომსახურება მრავალწლოვანი კულტურებისთვის იჯარის დარჩენილი პერიოდი უნდა შეადგენდეს სააგენტოში განაცხადის შემოტანის მომენტისთვის არანაკლებ 10 წელს, ხოლო ერთწლოვანი კულტურების ან სასათბურე მეურნეობის ან შემნახველი ინფრასტრუქტურის შემთხვევაში - არანაკლებ 5 წელს. იჯარის ხელშეკრულება უნდა იყოს რეგისტრირებული სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში) მიწის ნაკვეთ(ებ)ის შესახებ;
- საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ წარმოებულ რეესტრში რეგისტრირებული აუდიტორის/აუდიტორული ფირმის ანგარიში, ან სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს საექსპერტო დასკვნა პოტენციური ბენეფიციარის ან/და მისი წევრების ან/და წევრების მეპაიეების ან/და მეპაიეების საკუთრებაში ან/და იჯარით მიღებულ მიწაზე(ებზე) არსებული მრავალწლოვანი კულტურების ბაღების საქართველოს მთავრობის 2015 წლის 12 თებერვლის №56 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო პროგრამის „დანერგე მომავალი“ მრავალწლიანი ბაღების თანადაფინანსების კომპონენტით განსაზღვრულ სტანდარტების შესაბამისობის (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც განაცხადით მოთხოვნილ მიწის ნაკვეთზე, სააგენტოს თანადაფინანსებით ამავე კომპონენტის ფარგლებში გაშენებულია ბაღი და დადასტურებულია მიზნობრიობის შესრულება) ან მრავალწლოვანი კულტურების ბაღების (იმ შემთხვევაში, თუ განაცხადით მოთხოვნილი მომსახურეობა ვრცელდება იმ კულტურებზე, რომლებიც არაა გათვალისწინებული მრავალწლიანი ბაღების კომპონენტის ფარგლებში) ან არანაკლებ 1 ჰა სასათბურე მეურნეობის ან/და არანაკლებ 2 000 ტონის ტევადობის შემნახველი ინფრასტრუქტურის არსებობის შესახებ;
- პოტენციურ ბენეფიციარსა და აგრონომს შორის გაფორმებული შრომითი ხელშეკრულება;
- შესასყიდი მომსახურეობის ინვოისის ან/და კონსულტანტთან გაფორმებული ხელშეკრულების ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი, რომელიც აუცილებელი წესით უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

    - მხარეთა რეკვიზიტები;
    - კონსულტაციის დღეების რაოდენობა ერთი წლის განმავლობაში;
    - საკონსულტაციო დღეების რაოდენობა ვიზიტების მიხედვით;
    - ვიზიტის განმავლობაში გაწერილი გეგმა-გრაფიკი;
    - პოტენციური ბენეფიციარის მიერ განსაზღვრული ვიზიტ(ებ)ის მიზანი(ები);
    - უცხოელი კონსულტანტის მიერ პოტენციურ ბენეფიციართან და დაინტერესებულ პირებთან დამატებით ჩასატარებელი ტრენინგების ვალდებულების შესახებ ინფორმაცია;
    - უცხოელი კონსულტანტის დღიური ანაზღაურების ოდენობა ეროვნულ ვალუტაში ან/და უცხოური ვალუტის ექვივალენტი ლარში;
    - გადახდის პირობა და სავალდებულო მითითება, რომ სააგენტოს თანადაფინანსების წილი გაიცემა მომსახურების მიწოდების შემდგომ.

- უცხოელი კონსულტანტის დადგენილებით განსაზღვრულ პირობებთან შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია:

    - ❖ უცხოელი კონსულტანტის მცენარეთა მოვლა-მოყვანის ან/და მოსავლის აღების შემდგომი ტექნოლოგიების მიმართულებით განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი;
    - ❖ არანაკლებ 5 წლიანი საკონსულტაციო ან/და სამეცნიერო ან/და პრაქტიკული სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი (რეზიუმე ან/და ცნობა დამსაქმებლისგან ან/და სასწავლო დაწესებულებისგან);
    - ❖ ბოლო ხუთი წლის განმავლობაში არანაკლებ ხუთ პირთან განაცხადით მოთხოვნილი კულტურის წარმოების ან/და მოსავლის აღების შემდგომი ტექნოლოგიების მიმართულებით განხორციელებული კონსულტაციების დამადასტურებელი დოკუმენტაცია (რომელიც უნდა მოიცავდეს რეკომენდატორების საკონტაქტო ინფორმაციას).

- პოტენციური ბენეფიციარის თანამონაწილეობის თანხის დამადასტურებელი დოკუმენტი - ცნობა ბანკიდან შესაბამისი თანხის ანგარიშზე არსებობის შესახებ ან/და ცნობა საფინანსო ინსტიტუტიდან კრედიტის დამტკიცების თაობაზე;
- ცნობა ან/და შედარების აქტი სსიპ - შემოსავლების სამსახურიდან საგადასახადო დავალიანების არქონის შესახებ;
- საბანკო რეკვიზიტები;
- სხვა დამატებითი დოკუმენტაცია, სააგენტოს მიერ მოთხოვნის შემთხვევაში.